

„საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი, გვარი

თარიღი.....2017 წელი

IX კლასი

(30 ქულა)

(10) ვაჟა-ფშაველა - ფესვები

(I) ნუ გეშინია, არა ვართ გველები. ამ მაღალს მთაზე გველს რა უნდა? ტყუილად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვავენებთ, არ მოვსწამლავთ. გარედან რომ დაჭმუჭნილი, ხმელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა? ერთს დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო. დრომ, ჟამთა ვითარებამ შეგვიცვალა სახე და ახლა, მწყემსი წამოგვაწყდება ზედ თუ მონადირე, უნდა შეკრთეს, მანამ ახლოს გვნახავს, სანამ შეიგნებს, რომ ერთის მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არა-რა. ერთს დროს ჩვენ უზარმაზარ მუხას ვკვებავდით, საზრდოს ვაწვდიდით, ძუძუს ვაწოვებდით. ჩვენის ოფლით, ჩვენის ღვაწლით მუხა თავმომწონედ ყელყელაობდა. ჩვენც ამითი მოგვწონდა თავი, რომ ლამაზი, გულშეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთ.

(II) თქვენ და თქვენს მუხას მოგინდათ ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ამაგიო, - ბევრჯერ უთქვამს ჩვენთვის დედამიწას; მაგრამ ჩვენ მაინც ყელის წევით მუხლმოდრეკილნი გამოვსთხოვდით ხოლმე საზრდოს ჩვენის საყვარელის შვილისათვის. მის გულისთვის დღე და ღამე გასწორებული გვქონდა. საზრდო არ დავაკლოთ, ვეცადოთო, - ერთმანეთს ამ სიტყვებით ვამხნევებდით, დაისვენე, დედამიწავ, დაისვენე. ჩვენ ახლა შენ აღარ შეგაწუხებთ. ვისთვისაც გეფერებოდით და გეხვეწებოდით, ის აღარა გვყავს, ჩვენცა ვხმებით, ხმელსა და მკვდარს საზრდო რაღად უნდა? კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალცრემლიანი. ადგა, ცულით დაუწყო ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენის შვილის კვნესა. ცულს რომ გვცემენ, ჩვენ კვვნესით და თქვენ-კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავ-პირს არავის ვაკაჭრით, არა ვლანძღავთ, წასულს არ მივსდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერსა ვგრძნობთ?! „მუხას ვჭრიო“, - კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომდა არაფერიო. იგი ვერა ჰხედავდა, რომ ჩვენ მაშინ ჩუმად მიწაში ცრემლსა ვღვრიდით, რომ ჩვენმა ცოდვა-ბრალმა დედამიწაც აატირა, „საწყლებოვო, - ბუზლუნებდა ისიც, - რისთვის, ვისთვის იწვალეთ. ან მე ვისთვის ვწვალობ, ვინ არის მაღლობის მთქმელიო!...“

(III) თუმცა დედამიწა ამას ამბობდა, მაგრამ იმავე დროს წინ წამოწვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უდებდა საგზალს... უარს ვერავის ეტყვის ეს ღვთისაგან კურთხეული. ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია. იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენო დედავ, ჩვენო გამზრდელო, ჩვენო ძუძუს მაწოვებელო!

(IV) მაგრამ რა ჰქნას საბრალომ? ამასაც ბედმა უმტყუნა. გუშინ და დღეს ჩვენ ბევრი ვიტირეთ, გვენანება იმ ადგილის განშორება, საცა დავიბადენით, აღვიზარდენით, სადაც

სიცოცხლე ვიგრძენით. ვინ იცის, რა მოგველის?! დღილი-დღე ჩვენი ბინა ინგრევა, იშლება, ფლატე კეთდება და ჩვენ უსახურავონი ვრჩებით, ტიტველნი და მშიერნი. ბოლოს მოვწყდებით და წავალთ თავქვე, ჩავეშვებით უღრანს ხევში. ვინ იცის, იქ რა მოგველის? ვინ იცის, იქ რა ნიადაგი დაგვიხვდება? დავიხოცებით სრულიად, თუ კიდევ მიწა დაგვფარავს და გაგვიჩენს საზრდოს?! ვინ იცის, იქნება გიჟმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს სადმე უდაბურს ადგილას და მწვავე მზის სხივებმა დაგვაჭკნოს, გაგვახმოს, გააქროს ჩვენი ხსენება!

(V) ღმერთო, ნუ დაგვკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ. დედამიწავ, კიდევ გაგვიჩინე ბინა! სიცოცხლე და შრომა გვწყურია, გვინდა კიდევ ვიშრომოთ, ეგები კიდევ გავზარდოთ ჩვენს ფესვებზე შვილი, ეგები კიდევ ვიგრძნოთ სიხარული. ბუნების ძალნო, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა.

შემოხაზით სწორი პასუხები, ან წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

1. (1) დაასათაურეთ პირველი აბზაცი (სათაური უნდა გამოხატავდეს აბზაცის მთავარ სათქმელს):

ა) ფესვები გუშინ და დღეს;

ბ) ფესვების მომავალი;

გ) ფესვების ოცნება;

დ) ფესვების სიკვდილი.

2. (2) გაიხსენეთ, რას ნიშნავს გაპიროვნება? იყენებს თუ არა ავტორი ამ მხატვრულ ხერხს მოცემულ ნაწარმოებში?

.....
.....
.....

3. (1) რითი იწონებდნენ თავს ფესვები? რა იყო მათი სიამაყის მიზეზი?

.....

4. (1) დაასათაურეთ II აბზაცი (სათაური უნდა გამოხატავდეს აბზაცის მთავარ სათქმელს):

ა) ფესვების შურისძიება;

ბ) ადამიანის ხელით მომსპარი სიცოცხლე;

გ) ატირებული ფესვები;

დ) დედამიწა და ფესვები.

5. (2) იმსჯელეთ, რისი თქმა სურს ავტორს მეორე აბზაცში ადამიანის შესახებ?

.....
.....
.....

6. (1) V აზზაცის მიხედვით, რამ შეიძლება მიჰგვაროს ფესვებს სიხარული?

.....
.....

7. (2) იმსჯელეთ, რამდენად გამართლებულია ადამიანების ამგვარი დამოკიდებულება ბუნების მიმართ (პასუხი დაასაბუთეთ).

.....
.....
.....
.....
.....

(10)წაიკითხეთ მოცემული ნაწყვეტები და იპოვეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული დაპუნქტუაციური ხარვეზები

2 შეცდომა

1. (2) ქვეყანის შვილებს ევალებათ სამშობლოს დაცვა სისხლის ფასათ.

4 შეცდომა

2. (4) მოვიდენ მასწავლებლები მშობლები და სტუმრები, გაანთავისუფლეს ადგილი და ვილაცეები დასხეს ერთმანეთის პირისპირ.

4 შეცდომა

3. (4) გუშინ მე-5-ე კლასელმა ლევანიმ ყოველი ჩვენთაგანი გაგვაოცა, როდესაც გიორგიდან ნათხოვარი ბურთით ფანჯარა ჩაამსხვრია.

